განმცხადებელი : სამირა ბაირამოვა
თარიღი **:** 19-03-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 7;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ავტორი ჩემთვის უცნობია

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება:

პრინციპი 1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. ჟურნალისტმა ჩემგან მიიღო ყველა საჭირო ინფორმაცია, ინტერვიუს დროს მე არ მითქვამს, რომ მე ვიყავი ნაციონალური მოძრაობის წევრი ან აქტივისტი და წლების წინ დავტოვე პარტია. ჟურნალისტმა პატივი არ სცემს სიმართლეს და ის შეცდომაში შეიყვანა საზოგადოებას, რომელიც მოძალადე მხარები მე მაბრალებდნენ, რომ ვარ ენმ-ის წევრი (დეპუტატი) ეს ფაქტმა შეიძლება ჩემს მიმართ გაზარდოს აგრესია, ენმ-ის მიმართ აგრესიული დესტრუქციული ჯგუფების ობიექტი გავხდე, რომელიც მემუქრებიან.

პრინციპი 3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ მოიძია რაიმე მტკიცებულება, ან არ დაასახელა წყარო რომლის დაყრდნობით შეიძლება დაემტკიცებინა რომ მე მივეკუთვნები ნაციონალური მოძრაობის პარტიას. ჟურნალისტის ფრაზა ეყრდნობა მხოლოდ ძალადობრივი ჯგუფის წევრების ტექსტს. სადაც ისინი ამბობენ რომ მე ვარ ნაციონალური მოძრაობის საკრებულოს წევრი. რაც ცხადია არ შეესაბამებოდა სიმართლეს და სიუჟეტში ამ ინფორმაციის დაზუსტება არ მოხდა

პრინციპი 5. მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. კონკრეტული ფაქტის შესახებ იმედის სიუჟეტიდან მივიღო ინფორმაცია და სოციალური ქსელში ჩემი აზრი დავაფიქსირე აღნიშნული ფაქტთან დაკავშირებით და იმედი ტვ მოვნიშნე, დღემდე არსებული ნიუსი კონკრეტული ნაწილი არ შეცვლილია, რომელიც მე არ ვეთანხმები.

პრინციპი 11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება; მიმაჩნია, რომ კონკრეტულმა მედიამ თავისი პოლიტიკური შეხედულების გამო არსებული ფაქტი განზრახ დაამახინჯა, ჩვენთვის ცნობილია, რომ მედია მთავრობისკენ მიმართული მედია სხვა პოლიტიკური პარტიების შესახებ ნიუსის ამახინჯებენ.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** ვეთანხმები